საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/14

ქ.თბილისი

« 12 » სექტემბერი 2018 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კუთვნილი ზოგიერთი ძირითადი საშუალების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის უვადო, უსასყიდლო მფლობელობის უფლებით გადაცემის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს უვადო, უსასყიდლო მფობელობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - „კომისია“) ყოფილ მისამართზე (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42 ეზოში) განთავსებული შემდეგი დასახელების ძირითადი საშუალებები:

ა) დამხმარე ნაგებობა (საგენერატორო);
ბ) ტრანსფორმატორი (TM -250 6კვ.)
გ) ტრანსფორმატორის დამცველების კომპლექტი (3 ფაზიანი სცბ. 2; 40 კვტ+80 კვტ.);

2. კომისიის ადმინისტრაციამ (ნ. ჯანელიძე) და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ნ.დევდარიანი) უზრუნველყონ კომისიის ყოფილ მისამართზე არსებული ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების უვადო, უსასყიდლო მფობელობაში გადაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი პროცედურების განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. ბრძანება ძალაში შედის მისი კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ნ. ჯანელიძე).

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს წერილობითი მიმართვა (N81; 24.07. 2018 წ.)

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური